88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №15 (7044) 2 აგვისტო 2021 წელი • www. Terjola. gov. ge

2 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ანუ დიახ თუ არა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 2021 წლის 2 ოქტომბერს გაიმართება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან ერთად, ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მედიაციით მიღებული ხელშეკრულების შესაბამისად, არჩევნებში ჩადებულია ე.წ. რეფერენდუმის მექანიზმი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება 2022 წელს იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია„ქართული ოცნება“ მიიღებს ნამდვილი პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს.

თუმც, სულ ახლახანს, 28 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ სპეციალურ ბრიფინგზე ამ ხელშეკრულებიდან გასვლა დაანონსა. ამ და სხვა საარჩევნო თემებზე დაწვრილებით მომავალ ნომერში.

კვლავ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე...

სახელმწიფო პრიორიტეტული პროგრამებიდან კვლავ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზეა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. რა თქმა უნდა, ამ პროექტებში განსაკუთრებულია საერთო სახელმწიფო მნიშვნეობის პროექტები, მითუმეტეს ისეთები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულობის გამო მაღალი კონტინენტალური ღირებულება აქვთ. ასეთთა შორის უპირველეს ადგილზეა საერთაშორისო ცენტრალური ავტომაგისტრალის E 60-ის მშენებლობა, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მეტად მასშტაბური და საპასუხისმგებლო ეტაპის სამუშაოები რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთზე.

მნიშვნლოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიდის მუშაობა ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში და აქ გამონაკლისი არაა თერჯოლის მუნიციპალიტეტი.

როგორც წესი, გაზეთი „თერჯოლა“ ტრადიციულად დაწვრილებით აშუქებს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესს ჩვენს მუნიციპალიტეტში. გამონაკლისი არც დღევანდელი საგაზეთო ნომერია, რომლის გვერდებზე (გვ. 3,4,5,6) თქვენ გაეცნობით ამ მხრივ ბოლო 4 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის 5 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შესრულებულ სამუშაოებს.

ამჟამად მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ რამდენიმე საკითხზე.

პირველი ეს გახლავთ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით გამოცხადებული „2020-2022 წლებში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“ შემდეგი პრიორიტეტებით: პრიორიტეტი-1 „ურბანული განახლება—ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე“, პრიორიტეტი-2 „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ და პრიორიტეტი-3 „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“-ის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების კონკურსი, სადაც მონაწილეობის უფლება აქვთ კახეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონების მუნიციპალიტეტებს. სულ საპილოტე პროგრამის დასაფინანსებლად ყველა პრიორიტეტის გათვალიწინებით იმერეთის რეგიონში ევროკავშირმა 70,0 მლნ. ლარი გაიღო.

☞2



კორონავირუსი ახალ შეტევაზე გადმოვიდა! ფრთხილად!



მოგიწოდებთ!
უმკაცრესად დავიცვათ დაწესებული რეგულაციები!
ყველგან ვატაროთ პირბადე!
აუცილებლად ჩავიტაროთ ვაქცინაცია!

ჩვენი სოფელი...

ამ რუბრიკით ჩვენ კვლავ ვაქვეყნებთ მასალებს მუნიციპალიტეტის სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე ცხოვრებზე, ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროგრამების განხორციელების შესახებ და სხვა.

„თერჯოლის“ დღევანდელ ნომერში (გვ. 3, 4, 5, 6) გთავაზობთ პუბლიკაციებს მუნიციპალიტეტის ხუთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ამ მხრივ ბოლო წლებში შესრულებულ სამუშაოებზე (ღვანკითის, თუზის, სიქთარვის, გოგნის და ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები).

ინფორმაციების ბეჭდვას ნოემბრის თვიდან გავაგრძელებთ...

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

„ეტალონი“ ძევრის საჯარო სკოლაში

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძევრის უშანგი სოფრომაძის სახელობის საჯარო სკოლაში „ინტელექტ ბანაკის» ფარგლებში ჩატარდა შემეცნებითი კონკურსი „ეტალონი“. ღონისძებას მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი მოადგილეებთან ერთად დაესწრო.

პროექტის ფარგლებში მოწვეული იყო შემეცნებით-ინტელექტუალური კონკურსის „ეტალონი“-ს ავტორი და წამყვანი, გოჩა ტყეშელაშვილი.

ღონისძიება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ცოდნის პოპულარიზაციას, გამოავლინოს და წაახალისოს ნიჭიერი ახალგაზრდები, მონაწილეთა მაღალი აქტივობით ჩატარდა.

ინტელექტუალურ კონკურსში ძევრის საჯარო სკოლის 6 გუნდი იღებდა მონაწილეობას. გუნდებს შორის გამარჯვებული „ფენიქსის“ გუნდი გახდა, რომელსაც საჩუქრად სიმბოლური პრიზი გადაეცა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, პროექტის ორგანიზატორს, მანუჩარ ფანჩულიძეს, მოწვეულ სტუმრებსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა, სამომავლოდ კი წარმატებები უსურვა მათ.

„ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფაა. ინტელეტუალური პროექტები განსაკუთრებულად საჭირო და მნიშვნელოვანია, რომელიც ახალგაზრდებში ზრდის სწავლისადმი მოტივაციასა და აძლევთ მათ საშუალებას წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ უნარები. მეამაყება და მიხარია ახალგაზრდების სწავლისადმი მოტივაცია, ინტერესი და მიზანდასახულობა, რომელიც გამარჯვების საწინდარია. თერჯოლის მერია მუდმივად გამოთქვამს მზაობას და მხარს უჭერს საგანმანათლებლო-ინტელექტუალური პროექტების მუნიციპალიტეტში განხორციელებას“-განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

ღონისძიებას, ზესტაფონი-თერჯოლა-ტყიბული-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, დავით კამლაძე,საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ქეთევან შეყრილაძე და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

ახალგაზრდობამ, რომ უკეთეს გარემოში ისწავლოს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სოფელ რუფოთის და ქვედა სიმონეთის №2 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, პირველ მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ორივე სკოლაში მიმდინარე სამუშაოები ადგილზე მოინახულა და მშენებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან დეტალური ინფორმაცია მიიღო პროექტის მიმდინარეობისა და ვადების დაცვის შესახებ.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სკოლის შენობები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იქნება კეთილმოწყობილი და ადაპტირებული. პროექტის ფარგლებში სკოლებს, როგორც კოსმეტიკური რემონტი, ასევე გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდება, მოეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემა, ეზო და სპორტული მოედნები. ხელშეკრულების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება და მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს კომფორტულ გარემოში დაიწყებენ“—განაცხადა, ლაშა გოგიაშვილმა.

სამშენებლო სამუშაოებს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია—„ენენ ჯგუფი“ ახორციელებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლებში 3 ახალი სკოლა აშენდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 სკოლას და მიმდინარეობს კიდევ 2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

კვლავ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე...

2 ☜

გასულ თვეში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომზე მხარის რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ მოადგილეებთან, მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოს თავმჯდომარეებთან ერთად, სწორედ 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე იმსჯელა. სხდომაზე აღინიშნა, რომ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, თორმეტივე მუნიციპალიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა საგრანტო კონკურსზე გასატანი იდეები და წინადადებები, აქედან შეირჩა 32 და საბოლოო მოწონების შემთხვევაში პროექტები ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება.

ხაზგასასმელია, რომ შერჩევის პირველი ეტაპი გადალახა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარდგენილმა საპროექტო წინადადებამ ქ. თერჯოლის №3 საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობის თაობაზე, რომლის სავარაუდო ღირებულება 1,5 მლნ ლარია. როგორც მერიის ინფრასტრუქტურული სამსახურის ხელმძღვანელმა გოდერძი თურქაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ეს წინადადება მალე რეალობად იქცევა და არც იმას გამორიცხავს, რომ სხვა ახალი პროექტების დაფინანსებასაც მოიპოვებენ...

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ უკვე დასრულდა ტენდერი რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით (2,1 მლნ ლარი) დაფინანსებულ ოთხ პროექტზე:

—სოფ. კვახჭირის გზა—700 ათასი ლარი

—გოგნი-ტყიბულის გზა—700 ათასი ლარი

—გზა ღვანკითი-ავტობანი—500 ათასი ლარი

—საზანოს საბავშვო ბაღი—470 ათასი ლარი

საყურადღებოა, რომ ამ ოთხი ობიექტიდან სამზე სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ერთი საგულისხმო ფაქტიც, მერიიდან გვაცნობეს, რომ ამ დღეებში დასრულდა ყველა ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოები (პროექტების შედგენა, ტენდერების გამოცხადება, ხელშეკრულების დადება სამუშაოების შემსრულებელ კომპანიებთან და სხვა), რაც საჭირო იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების სამუშაოების ფართო ფრონტით დაწყებისათვის...

ჩვენი გაზეთი ყველა ამ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოგაწვდით საჭირო ინფორმაციას...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამირან ვერულაშვილი უძღვებოდა.

სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს სამი საკითხი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 დეკემბრის N 22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. (სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა-ში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N 29-2823644 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხებს.

მადლობა წარმატებებისათვის...

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის საკრებულოში ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლის და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპლური ცენტრის მოსწავლეებსა და მწვრთნელებს თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ტურნირებში მიღწეული გამარჯვებები მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. წარმატებულ ახალგაზრდებს მადლობის სიგელები გადასცეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, სოფიო ბუსკივაძემ და კომისიის წარმომადგენლებმა.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის მოსწავლეებმა 7 ოქროს მედალი მოიპოვეს ბათუმში ტანვარჯიშში გამართულ თენგიზ ბოლქვაძის სახელობის შეჯიბრზე.

მათ ასევე, წარმატებას მიაღწიეს გელათში გამართულ მეშახტეთა

ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე ძიუდოში; ილია ბობოხიძის და ჯემალ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, დავით შუბითიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე ძიუდოში, საქართველოს პირველობის ტურნირზე ქართულ ჭიდაობასა და ქუთაისის ღია პირველობაზე აღმოსავლურ ორთაბრძოლებში.

გენერალი კობა კობალაძე თერჯოლაში

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი გენერალ-მაიორი კობა კობალაძე ქუთაისის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელთან გელა ცინაძესთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად თერჯოლას სტუმრობდა. ის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში თერჯოლელ ომის ვეტერანებს შეხვდა და ესაუბრა.

შეხვედრაზე იყვნენ მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე თერჯოლის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გია ლილუაშვილი, სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი პაატა გოგიაშვილი, ვეტერანთა საქმეების სახემწიფო სამსახურის თერჯოლის განყოფილების წარმომადგენელი ანდრო ვაშაკიძე.

გენერალმა ვეტერანებს ის პროექტები გააცნო, რომლებიც იმერეთის რეგიონში და მათ შორის თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ არმიისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, პრიორიტეტული პროგრამების შემუშავებას და მათი ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფას ეხება. ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების მიერ დასმულ შეკითხვებს მან ამომწურავი პასუხები გასცა.

ვეტერანებმა გამოხატეს მადლიერება სახელმწიფოსაგან გამოჩენილი ყურადღებისათვის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვანს.

ნ. გამყრელიძე, ომის ვეტერანი

ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის თასზე

გასულ კვირას სტარტი აიღო ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის თასის ტრადიციულმა გათამაშებამ ფეხბურთში. გათამაშებაში 8 გუნდი მონაწილეობს. ფინალური შეხვედრა 8 აგვისტოს გაიმართება ქართლოსის მშობლიურ სოფელ სათემოში (ბარდუბნის თემი). ეს ინფორმაცია იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით რუხაძემ მოგვაწოდა.

ჩვენი სოფელი...

ღვანკითის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

ღვანკითი ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი სოფელია თერჯოლის მუნიციპალიტეტში. გამორჩეულია იგი ისტორიული წარსულით, დღვანდელობით თუ სამომავლო კონტურებით...

დიახ ბაგრატოვანთა რეზიდენცია, თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული წარსული, ლეგენდა თუ სინამდვილე, უძველესი ეკლესია-მონასტრები: დედაღვთისა, ძველი სამება, ახალი სამება, ქეთევან წამებულის სალოცავი, ღვანკითისა და არგვეთის საზღვართან გამავალი მდინარე ჩოლაბური, ულამაზესი ბუნებით და მდიდარი სავარგულებით გამორჩეულ მდგომარეობასა და ხიბლს ანიჭებს ამ სოფელს...

გამრჯე და მშრომელი ადამიანები აქ უძველესი დროიდან მისდევდნენ მევენახეობას, მემცენარეობას, მესაქონლეობას... ასე გრძელდება დღემდე...

სოფელში ერთი საჯარო სკოლა და ერთი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. სოფელს აქვს სამედიცინო ამბულატორია, აფთიაქი. დღეისათვის სოფლის ოთხი სალოცავიდან სამში აღევლინება წირვა-ლოცვა.

სოფელში 2 გმირთა დიდების მემორიალია. ერთი სოფლის ცენტრში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ვალერი გოგნაძის სახელზე აიგო, ხოლო მეორე დადუნაშვილების უბანში ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლაში დაღუპული ღვანკითელი გმირების ხსოვნის სიმბოლოდ წლების წინ თავად უბნის მაცხოვრებლებმა ააგეს...

სოფელში ფუნქციონირებს სარიტუალო დარბაზი „სამეფო“, გამართული ინფრასტრუქტურით, რომელიც მომსახურებას უწევს არა მხოლოდ ღვანკითის, არამედ მიმდებარე სოფლების მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ სოფელში საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტულ კლუბ „შევარდენთან“ დაფუძნდა ფეხბურთელთა გუნდი „იუნკერები“. გუნდი დაკომპლექტებულია კარგი მონაცემების მქონე ღვანკითელი ახალგაზრდებით.

იმედოვნებენ, რომ ისინი სოფლის ფეხბურთის გულშემატკივრებს არაერთი საინტერესო მატჩებით გაახარებენ.

სოფლის ცენტრში მდებარეობს სოფლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ოფისი.

ტარიელ კუბლაშვილი, რომელიც ამავე სოფლის მკვიდრია, 2015 წელს დაინიშნა მერის წარმომადგენლად. მას შემდეგ იგი აგერ უკვე ექვს წელზე მეტია 2200 კაციანი სოფლის პრობლემების შუაგულში ტრიალებს და ამავე სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან სოფო ბუსკივაძესთან ერთად, შეიძლება ითქვა, საფუძვლიანად ფლობს სიტუაციას, სოფლის პრობლემებს და უნარიანად შრომობს მათ აღმოსაფხვრელად.

რაც შეეხება სოფლის დეპუტატს, სოფო ბუსკივაძე ამ სოფელში დაიბადა და აღიზარდა, მისთვის ყველა და ყველაფერი ახლობელი და საინტერესოა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თითქმის ყოველდღიური მისი საქმიანობა იწყება სოფლის პრობლემების მოგვარების რეჟიმში. კარგად იცნობს და იზიარებს თითოეული ოჯახის ლხინსა და ჭირს... ქალბატონი სოფო ადგილობრივი თვითმმართველობის სამი მოწვევის დეპუტატია. რაც შეეხება სოფლის ყველაზე მეტად სატკივარ-საფიქრალს, ეს ისე როგორც მთლიანად თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის სინამდვილეში, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამებია, რომელთა ეფექტურად განხორციელების საქმეში სოფლის დეპუტატი და თავკაცი ურთიერთდახმარებითა და შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანადგომით მნიშვნელოვან შედეგებს აღწევენ.

რა ნაბიჯები გადაიდგა სოფელში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ანუ თვითმართველობის არჩევნებიდან არჩევნებამდე... ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ღვანკითის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ტარიელ კუბლაშვილი „თერჯოლას“ უამბობს: „ჩვენი სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ყველაზე დიდი ოცნება სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა იყო. ამიტომ ჯერ კიდევ 2017 წლის მარტში გამოცხადდა ტენდერი ღვანკითის წყლის პირველი ეტაპის რეაბილიტაციაზე, იმავე წლის ივლისში დაიწყო სამუშაოები. პირველი ეტაპი მოიცავდა ჭაბურღილების, შემკრები და გამანაწილებელი ავზების და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობას, საჭირო თანხა 3 მილიონ ლარს შეადგენდა.

სამუშაოები დასრულდა 2018 წლის ბოლოს და 280 ოჯახმა მიიღო წყალი.

2018 წლის ნოემბრის ბოლოს გამოცხადდა მეორე ეტაპის ტენდერი, ხოლო 2019 წლის აპრილში უკვე დაიწყო სამუშაოები, რომელიც მოიცავდა სოფლის სრულად დაქსელვას და გამრიცხველიანებას. ღვანკითის წყლის სრული რეაბილიტაცია დასრულდა 2020 წელს და ყველა ოჯახმა მიიღო წყალი. პროექტის საერთო ღირებულებამ 6,5 მილიონი ლარი შეადგინა. წყლის რეაბილიტაციის პროექტს დაემატა შიდა გზების მოწესრიგება ინერტული მასალით და მდინარე ჩოლაბურზე, წყალსადენის მიმდებარედ, 180 გრძივი მეტრი დამცავი ჯებირის მოწყობა.

2018-2019-2020 წლებში მერიის მიერ გამოყოფილი თანხით სოფლის საბავშვო ბაღში გარემონტდა და კეთილმოეწყო ორი ოთახი და სამზარეულო, აღიჭურვა ახალი ინვენტარით. სოფლის პროგრამის ფარგლებში არსებული თანხით ამჟამად კეთდება აგრეთვე საბავშვო ბაღის დარბაზის ჭერი და ბაღის ეზოში ძველი ღობე შეიცვალა ახალი მავთულბადიანი ღობით. ბაღში შეყვანილი იქნა სამი ფაზა დენი, რომელიც არ არსებობდა და პრობლემას წარმოადგენდა ბაღის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.

2019 წელს ღვანკითის საჯარო სკოლას და ქარქაშაძეების უბანს მიენიჭა სოფლის მკვიდრის, აწ გარდაცვლილი გენერალ გურამ ქარქაშაძის სახელი. 2020 წელს მოხდა შესაბამისი ტრაფარეტებით უბნის ყველა ოჯახის გამისამართება, რაშიც მუნიციპალიტეტის მერია და შესაბამისი სამსახურები დაგვეხმარა.

ღვანკითის გურამ ქარქაშაძის სახელობის საჯარო სკოლაში მერიის დაფინანსებით გარემონტდა სპორტული დარბაზი, ხოლო 2020 წელს მოწესრიგდა სველი წერტილები...

მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით 2017-2021 წლებში შემოტანილი იქნა დაახლოებით 1500 კუბური მეტრი ინერტული მასალა, რაც სოფელში დაზიანებული გზების შეკეთებას მოხმარდა.

2019 წლიდან, როცა კვლავ ამოქმედდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, გამოყოფილი იქნა 20 000 ლარი, რომელიც ძირითადად ხმარდება ბოგირების მოწყობას. სხვადასხვა უბანში ჯამში მოეწყო 40 გრძივი მეტრი ბოგირი, მოეწყო აგრეთვე 34 გრძივი მეტრი ცხაური და ბეტონის სანიაღვრეები—ჯამში 42 გრძივი მეტრი. სოფელში დასრულდა ცენტრალურ მაგისტრალზე სოფლის ცენტრი—ტელეფის საზღვრამდე, სოფლის ცენტრი—დედახვთისამდე გარე განათების მოწყობა, რომელმაც ჯამში მოიცვა 3,5 კმ გზის მონაკვეთი.

სოფელში მოწესრიგდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის პრობლემა. მერიის დახმარებით ცენტრალურ მაგისტრალზე დაიდგა ურნები, რომლის გატანას ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოფს კომუნალური სამსახური.

სოციალური პროგრამებით, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას გააჩნია, ბუნებრივია, სარგებლობს ღვანკითის მოსახლეობის ის კატეგორია, ვისთვისაც განკუთვნილია და ეს ციფრებით ასე გამოიხატება: მედიკამენტებზე—16 058 ლარი, სურსათზე—8 210 ლარი, სახლდაზიანებაზე 10 700 ლარი, უსინათლობზე—5 810 ლარი, ფინანსური—64 900 ლარი, ეპილეფსია—7 650 ლარი, უმწეო—3 000 ლარი, დიალეიზი—17 950 ლარი, ახალშობილზე—14 450 ლარი, დიაბეტი ფენიკეტონურია—6 000 ლარი, თანადაფინანსება—58 610 ლარი.

რაც შეეხება სიახლეებს ინფრასტრუქტურული მიმართულებით — მიმდინარე წელს გამოცხადდა ტენდერი ავტობანი—დედაღვთისას-სოფლის ცენტრის გზის მშენებლობაზე, რომელიც უახლოეს პერიოდში დაიწყება, სადაც 3,5 კმ გზაზე მოეწყობა ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, ასევე უახლოეს პერიოდში ველოდებით სოფლის პროგრამით შერჩეული პროექტების განხორციელებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უბნებში ბეტონის საფარით გზის მოწყობას, სადაც ციცაბო აღმართებია, ასევე ბოგირების მოწყობას და სოფლის ცენტრში სპორტული სატრენაჟორო სკვერის მოწყობას, რაც სოფლის ახალგაზრდების ინიციატივა და სურვილი იყო“.

სოფელში გასაკეთებელი კვლავ ბევრია. ადამიანთა კეთილდღეობისთვის, მათთვის სოფელში ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნისათვის, თვითრეალიზებისათვის, იმისათვის, რომ ახალგაზრდებს თუ ზრდასრულ ადამიანებს არ უჩნდებოდეთ სურვილი, ან არ იყვნენ იძულებულნი მიატოვონ სოფელი, ოჯახი და სხვაგან, უცხო მხარეში ეძებონ საარსებო...

იმედია, სოფლის განვითარება, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამები კვლავ გაგრძელდება, იმედია ყველაფერი კარგად იქნება, ამ სოფელს ამის პერსპექტივა ნამდვილად გააჩნია.

მზია ცქიფურიშვილი

ერთი განსაკუთრებული შტრიხი სოფლის ცხოვრებიდან

გასული წლის გაზაფხულზე სოფელი დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა „კოვიდ-19“-ის ინფექციამ. ღვანკითი ერთ-ერთი პირველი იყო დაინფიცირებულთა რაოდენობის მიხედვით იმერეთის რეგიონში რეგულაციების შესაბამისად იზოლაციაში, რომ აღმოჩნდა და შესვლა-გამოსვლა აიკრძალა.

სიტუაციის სწორად შეფასებამ და მართვამ იმ ეტაპზე სოფელში ფატალური შედეგი გამორიცხა. კარანტინში მყოფი მოსახლეობის დასახმარებლად ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ცაკლეულმა ქველმოქმედებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს, როგორც ამ სოფლის ისე რაიონის სხვა სოფლების შეჭირვებულ მოქალაქეებს, ხანდაზმულებს... განსაცდელში მყოფ ადამიანებთან მიჰქონდათ პროდუქტები, მედიკამენტები და ა.შ. და რაც მთავარია მიჰქონდათ იმედი, რომელიც ასე უმნიშვნელოვანესია ასეთ სიტუაციებში.

ღვანკითმა თანადგომით „ჭირსა შიგან გამაგრებით“ გაძლო და გადაიტანა ის მძიმე დღეები...

ჩვენი სოფელი...

თუზის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

გვესაუბრება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი თუზის ტერიტორიულ ერთეულში მამუკა გოგბერაშვილი.

— 2019-2021 წლებში რეგიონული განვითარების ფონდის და თერჯოლის მერიის თანადაფინანსებით დაიგო არმირებული ბეტონის გზა სოფ. ვარდიგორასა და ჯგილათს შორის. რაზედაც ჯამში დაიხარჯა 1 100 000 ლარი. ეკონომიის თანხით ბეტონის გზა დაიგო სოფლის სასაფლაომდე და შეყრილაძეების უბანში.

— 2020-2021 წლებში გარდამავალი პროექტით განხორციელდა სამების ეკლესიისკენ მიმავალი გზის მშენებლობა, რითაც ცხოვრებაძეების, ბუხრაშვილების, ჩაფიძეების, ქაშაკაშვილების, წიწილაშვილების

უბანი დაუკავშირდა თუზის ცენტრს. მოცემული გზის პროექტი სოფელს აჩუქა სოფლის მკვიდრმა ვალერი ცხოვრებაძემ. პროექტის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა. პროექტის ღირებულება 700 000 ლარია.

— 2020 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხით—164000 ლარით დაიგო არმირებული ბეტონის 930 მეტრი სიგრძის გზა სოფ. თუზში ჩაფიჩაძეების და გოცაძეების უბანში. მოცემული უბნის 1.5 კილომეტრი გზის მონაკვეთის პროექტი მერიამ უკვე შეიძინა და ველოდებით დაფინანსებას.

— ასევე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხით მოეწყო საყრდენი კედელი სოფ. თავასაში გოცაძეების უბანში და სოფ. თუზში წიწილაშვილების უბანში.

— ბოლო ორ წელში განხორციელდა თუზის სკოლის მეორე და მესამე კორპუსის რეაბილიტაცია, რაზედაც დაიხარჯა 94 000 ლარი. მოხდა სველი წერტილების მოწყობა თუზის სკოლის პირველ და მესამე კორპუსში.

— 2020 წელს მერიის მიერ შეძენილი იქნა 8100 მეტრი სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილინის მილი. აქედან 3000 მეტრი მერიის ტექნიკით ჩაეწყო ჩაფიჩაძეების უბანში. დანარჩენმა უბნებმა თავიანთი ძალებით მოახდინეს წყალსადენების რეაბილიტაცია.

— სოფლის მხარდაჭერის პროგრამა განახლდა 2019 წლიდან. თუზს ყოველწლიურად გამოეყოფა 20 000 ლარი, თავასას 12 000 ლარი, ვარდიგორას 16 000 ლარი, კაკაბოურს 10 000 ლარი, ჯგილათს 10 000 ლარი.

2019 წელს სოფლის პროგრამით თავასაში შემოიღობა სოფლის სასაფლაო. თუზმა და კაკაბოურმა თანხა გააერთიანეს და ააშენეს მინი სტადიონი, თუმცა ხელოვნური საფარის დაგება დღემდე ვერ მოხერხდა. ვარდიგორამ და ჯგილათმა შემოღობა სოფლის სასაფლაო პანელური ღობით.

2020 წლის სოფლის პროგრამით სოფ. თავასაში დაიგო ბეტონის გზა. სოფ. თუზში მოეწყო გარე განათება, ასევე პანელური ღობით შემოიღობა თუზის სკოლა. ვარდიგორაში შემოიღობა სკოლის ეზო და შეძენილი იქნა უბნისთვის 950 მეტრი სიგრძის 75 მმ-იანი პოლიეთილენის მილი და ელექტრო ტუმბო.

2021 წელს სოფლის პროგრამით თუზში მოეწყობა ბეტონის გზები ჭალის და ქაშაკაშვილების უბნებში.ვარდიგორაში მოეწყობა სკვერი, თავასაში შემოიზიდება ხრეში, კაკაბოურში დაიგება ბეტონის გზა.

— მერიის დაფინანსებით 2017-2021 წლებში 1500 მმ-იანი ბოგირები მოეწყო სოფ. თავასაში კირკიტაძეების უბანში. თუზში ჩაფიჩაძეების უბანში ორ ადგილას მოეწყო 1000 მილიმეტრიანი, კაკაბოურში 1000 მმ-იანი, თავასაში ცინაძეების და მარუაშვილების უბანში 500 მმ-იანი, კაკაბოურში 500 მმ-იანი, ხოლო ჭალის უბანში ორ ადგილას 500 მმ-იანი ბოგირები.

— მერიის დაფინანსებით მოეწყო გარე განათება სოფ. ვარდიგორაში ცენტრალური გზიდან სკოლამდე. გარე განათება მოეწყო სოფ. კაკაბოურში და თავასაში რიჟამაძეების უბანში. მიმდინარე წელს გარე განათება მოეწყობა თავასაში მარუაშვილების უბანში.

— ყოველწლიურად ხდება საუბნო გზების მოხრეშვა. 2017-2021 წლებში შემოტანილი და გაშლილი იქნა 300 რეისზე მეტი მთის ქანი.

— მერიამ შეგვიძინა და გადმოგვცა 15 ტონა ცემენტი და საბეტონე ხრეში, რითაც მოეწყო ბეტონის გზები ჭალის და წიწილაშვილების უბანში, სათავე ნაგებობები: თავასაში, ვარდიგორაში, თუზსა და კაკაბოურში.

— ყოველწლიურად ვახდენთ სანიაღვრე არხების გაწმენდას და საუბნო გზების დაპროფილებას.

— მერიის მიერ შეძენილ იქნა სასმელი წყლის რეზერვუარები. სოფ. თავასაში 15 ტონიანი. სოფ ვარდიგორაში შეყრილაძეები-გოგბერაშვილების უბანში 25 ტონიანი, თუზში ჭალის უბანში 10 ტონიანი, ჩაფიჩაძეების უბანში 8 ტონიანი.

— ადმინისტრაციულ ერთეულში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი. ეს ეხება საუბნო და სოფლების დამაკავშირებელ გზებს. საჭიროა თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომლის პროექტი მერიამ უკვე შეიძინა და ველოდებით დაფინანსებას. კაკაბოურში საჭიროა ბეტონის გზის მშენებლობა 1.5 კმ-ზე და ა.შ.

წყალმომარაგების პრობლემები აქვთ უმეტეს უბნებს. საჭიროა ერთიანი წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. არის მიწის დამუშავების პრობლემა, გაძვირდა ტექნიკის მომსახურება.გვალვების გამო მოსავლიანობამ იკლო. არ არსებობს სარწყავი მიწათმოქმედება, თუმცა მომავალში შესაძლებელია გარკვეულ უბნებში სარწყავი სისტემის მოწყობა.

წელს დაიწყება ცენტრალური გზის მშენებლობა. საჭიროა სკოლის სრული რეაბილიტაცია და ა.შ.

სოფელში, 2017-2021 წლებში, სოციალური პროგრამებით, მოსახლეობას გაეწია შემდეგი მოცულობის დახმარებები:

მედიკამენტებზე—5 997 ლარი, სურსათზე—9 550 ლარი, სახლდაზიანებაზე 22 150 ლარი, უსინათლოებზე—8 150 ლარი, ფინანსური—69 750 ლარი, ეპილეფსია—13 750 ლარი, დიალიზი—12 750 ლარი, ახალშობილზე—12 800 ლარი, თანადაფინანსება—59 189 ლარი.

მერიის დიდი თანადგომის გამო იმედი გვაქვს, რომ სამომავლო პროგრამებსაც აუცილებლად წარმატებით შევასრულებთ...

სიქთარვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

757 რეგისტრირებული კომლი და 2274 სული ცხოვრობს სიქთარვა-ჩხარიეწერში. 300-ამდე ადამიანი გასულია სოფლიდან. ზოგი საზღვარგარეთ, ზოგი მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ. თითოეული კომლი მიწის კერძო მესაკუთრეა, იმდენ მოსავალს, რომ ეყოს ოჯახს, თითქმის ვერავინ იწევს, მაგრამ მიწა მიწაა, მარჩენალია, ასე ვუწოდებთ, მაგრამ ვერ გვარჩენს, წლევანდელმა გვალვებმა უშემოსავლოდ დაგვტოვაო, ამბობს ხალხი. ასეთ დროს აუცილებლად უნდა ვთქვათ: მდ. ძევრული სიქთარვაში ჩამოედინება, მაგრამ სათანადოთ არ არის გამოყენებული ეს ძვირფასი რესურსი, მახსოვს, ტერიტორიის დიდი ნაწილი ირწყვებოდა, ახლა საჭიროა ფიქრი, ძიება, სურვილი, საქმის სიყვარული და უპირველესად—თანხები.

მოსახლეობის 70%-ს მინი ტრაქტორი ჰყავს. სოფელში 6 კერძო ტრაქტორია, მასიური ფართობების დამუშავება ამ და ზესტაფონის მანქანა-ტრაქტორთა ბაზიდან დაქირავებული ტრაქტორებით ხდება, აგროვადებში ჩატევა ჭირს, მაგრამ მიწის გარკვეული ნაწილი დაუმუშავებელი რომ რჩება სხვა მიზეზია, ყველაფრის სიძვირე და შიში, შეიძლება დახარჯო, გაისარჯო, მაგარმ მოსავალი ვერ მიიღო. ჩამოვთვალეთ და დაახლოებით 30-35 კულტურის თუ მწვანილ-ბოსტნეულს მოყვანას ვცდილობთ, ნიადაგები ისეთია ერთწლიან კულტურებს მიწა ბეტონივით ეკვრის. სოფელში არის 944 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, სახნავი 361 ჰა, მრავალწლიან კულტურებს უკავია 267 ჰა, საძოვრებს 316 ჰა.

მაინც ძლიერია სოფელი, ხალხი იმედიანადაა, პანდემიის პირობებში ცხოვრება გაძნელდა, მაგრამ მსოფლიო მოვლენებს სიქთარვა სად წაუვა. უნდა შევეჩვიოთ კორონასთან ცხოვრებას, დავიცვათ რეგულაციები და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ყველა ასე ვამბობთ, მაგრამ რომ არ ვასრულებთ—ეს ცუდია. სოფელში საკმარისი ოდენობის სანაგვე ყუთი დგას, ნაგვის გატანა დროულად ხდება, მაგრამ მაინც—ყოველი ფეხის ნაბიჯზე ნახავთ სიგარეტის კოლოფებს, პივის, პეფს-კოკა-კოლას ბოთლებს, ცელოფნებს, სამწუხაროდ ნიღბებსაც. სოფლის ტერიტორიულ ერთეულში გვითხრეს, რომ ხშირად აწყობენ დასუფთავების აქციებს, რაც კარგია, მაგრამ, ჩვენ რა გაგვიჭირდა ნაგვის ყუთამდე მისვლა, ვის ვავალდებულებთ დაყრლი ნაგვის გატანას—ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობას? გავიხსენოთ ნოდარ დუმბაძე—სოფლის საბჭოს შენობაზე დიდი შენობა სოფელში არ უნდა იდგესო. ამით ამ სამსახურსადმი პატივისცემას მიგვანიშნებდა.

მერის წარმომადგენელი სოფელში გიზო ხანიაშვილი, სპეციალისტები დავით გამეზარდაშვილი, სულიკო მემანიშვილი ერთობლივად, ერთმანეთის გვერდში დგომით და საერთო ძალისხმევით ცდილობენ არსებული პრობლემების მოგვარებას, ხალხთან ახლოს არიან, მათ ინტერესებს ითვალისწინებენ და კარგად იყენებენ მერის და მერიის დამოკიდებულებას სოფლისადმი.

სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის კოსტანტინე ამაშუკელის გარეშე კი სოფელში არაფერი წყდება, იგი იცნობს თითოეულ ოჯახს, ნებისმიერის პირობებს, იცის რა ჭირდებათ, რა აწუხებთ და იგი ორივს—მერიაც და საკრებულოსაც ხშირად „აწუხებს“. ისინიც, როცა ხედავენ სურვილს და მისწრაფებას, გვერდში უდგანან სოფელს.

წყალი—სიცოცხლის ელექსირი

ყველა ყაირათიანია თავის ოჯახში, როცა საქმე საერთოა გულგრილი. როგორც იქნა წყალი გვაქვს, ჩხარიეწერში წყლის რეზერვუარის აღდგენამ წყალმომარაგბის და შიგა ქსელების მოწყობამ, გააჩინა საშუალება ყველა ოჯახი სასმელი წყლით მარაგდებოდეს. აუზი 800 ტონას იტევს, 1200 ტ. წყალს მოიხმარს სოფელი დღეში გრაფიკის პირობებში, წეს-ანგარიშით დღეში 1 სულზე 300 ლიტრი წყლის ხარჯვაა გათვალისწინებული,

☞5

სიქთარვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

4 ☜

მაგრამ მისი არამიზნობრივი ხარჯვა, სავარგულებზე დღე და ღამე მიშვება ზრდის ხარჯს. მაგალითად, ერთი ოჯახი რომ ტონობით მოიხმარს, მეორეს გადასაბანადაც აღარ ყოფნის. იმ დღეს, როცა ადმინისტრაციულ ერთეულში ვიყავი, მითხრეს, რომ 500 ტონა წყალია ბასეინშიო, გამოშვებული იყო, მაგრამ უბნების დიდ ნაწილს არ მიეწოდებოდა, სადღაც ნაკვეთებში იკარგებოდა.

სხვაზე ნაკლები მაქვს ყველაფერი, სხვაზე მეტად გამიჭირდება, მაგრამ ვართ ღირსი მაღალ გადასახადებს ვიხდიდეთ, იმდენად მაღალს, რომ წყლის ასე უდიერად ხარჯვის სურვილი გაქრეს. მეც მაქვს ახალშენი ნიგვზები, ძვირი ღირებულების, ძლივს გაშენებული, მაგრამ მიხმება, ლარიანი შლანგი მეც კი მაქვს.

სანამ არ მოწესრიგდება წყლის მიწოდების გრაფიკი, სანამ თითოეული ოჯახი წყალს არ მიიღებს, უმადურობა ყოველთვის იქნება. მე რომ მეკითხებოდეს, სანქციებსაც დავწესებდი, რამე შიგა განკარგულებით, „მიარჭვე“ კარგი ჯარიმა და ასწავლე ჭკუა.

სოფლის ტერიტორიაზეა ყველის ქარხანა, სასტუმრო, რესტორანი, ბენზინით გასამართი სადგური, სავაჭრი ქსელი, რამდენიმე მაღაზია, წყალსადენი. თვეში ერთხელ ბანკის მანქანა შემოდის, სოფელში არის ბიბლიოთეკა, კლუბთან არსებული სიმღერის და ცეკვის სტუდია. გვითხრეს, რომ შეცვლილია ელექტროგადამცემი ხაზების დიდი ნაწილი, ხანდხან არის წყვეტილობაც, მაგრამ ნუ შევშფოთდებით. ადრე ამბობდნენ—თეთრი სახლი და კრემლიც კი ირთვებაო. მაგრამ მაინც ძნელია, ჩამოდნა მაცივარი და გაადნო ხამსაც.

***

პანდემიის პირველ ეტაპზე მოსახლეობის ნაწილს მერიის დახმარებით დახმარებას ვაძლევდით, ახლა ერთ ბინას უშენებენ ერთ ოჯახს, რომელიც ქირით ცხოვრობს და ქირასაც მერია იხდისო, გვითხრეს. მთავრდება გარე განათების მოწყობა, იგეგმება ჩიხებში შესვლა, მოწყობილია რამდენიმე სტადიონი წითელ გორაზე, ფანჩულიძეებთან, ჩიხლაძეებთან, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ სიქთარვა—გარდამავალი თასის მფლობელია ფეხბურთში.

სოფლის ოთხი წელი

ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შეკეთდა ხიდები, ბოგირები, მოიხრეშა შიგა-საუბნო გზები, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, გაკეთდა მოსაცდელები, გარე განათებები და სხვა. მნიშვნელოვანი იყო მდინარე ჩოლაბურზე ნაპირსამაგრი სამუშაობის ჩატარება, რითაც დაცულ იქნა წყალსადენის ტერიტორია, ოპტიკურბოჭკოვანი კაბელით მოყვანილ იქნა ინტერნეტი ყველა მსურველ ოჯახში და ნებისმიერ დროს შეუძლია წვდომა, გარემონტდა წისქვილის სათავე-ნაგებობა და გაკეთდა ჭა, დაიგო ბეტონის გზა წისქვილისაკენ მიმავალ გზაზე და ახლა ყოველ ამინდში შეიძლება წისქვილამდე მისვლა.

***

წლების განმავლობაში იდგა საკითხი სიქთარვა-თერჯოლის ოთხკილომეტრიანი გზის ასფალტირების შესახებ, გაკეთდებოდა თერჯოლის მონაკვეთი ე.წ. ძოწენიძეებმდე და წყდებოდა მუშაობა, ახლა სიქთარვა თერჯოლას უმოკლესი ბეტონის გზით უკავშირდება. სოფელმა მიიღო სასმელი წყალი, გარემონტდა სიქთარვის ამბულატორია, აშენდა ევროპული სტანდარტების სკოლა 120 ბავშვზე, ასრულდა ჩხარიეწრელების ოცნება—დაიგო ასფალტი.

სულ ოთხ წელიწადში სოფელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით და ინფრასტრუქტურულ პროექტებში განხორციელდა მილიონობით ლარის სამუშაო.

სოციალური პროგრამებით სიქთარველებმა მიიღეს:

მედიკამენტებზე—8 745 ლარი, სურსათზე—7 180 ლარი, სახლდაზიანებაზე 11 750 ლარი, უსინათლოებზე—4 755 ლარი, ფინანსური—47 150 ლარი, ეპილეფსია—5 100 ლარი, დიალიზი—11 150 ლარი, ახალშობილზე—7 585 ლარი, თანადაფინანსება—41 766 ლარი, ბინის ქირა—2 100 ლარი.

სამომავლოდ...

მერის წარმომადგენელი სოფელში გიზო ხანიაშვილი იმედიანადაა, იგი ხშირად აყენებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ ლაშა გოგიაღვილთან და მიზანსაც აღწევს, „მე ხშირად ვაწუხებ კომუნალურ სამსახურსაც, ამ სამსახურის დახარებით სოფელში ბევრი სამუშაო შესრულდა“—თქვა გიზომ და არ ელევა ჩამონათვალი. ორი მასშტაბური პროექტის განხორციელებაზე, ლაშა გოგიაშვილი დახმარებას ჰპირდება—სიქთარვის ცენტრალურ გზაზე ასფალტის დაგებას და ჩიხლაძეების უბნიდან ცენტრალურ გზამდე ბეტონის გზის მოწყობას. გიზო დარწმუნებულია, რომ ორივე მიზანი მიღწეული იქნება.

ჟუჟუნა ცხადაძე

გოგნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

ინფრასტრუქტურული პროექტების გზასაკვლევი! ინფრასტრუქტურული პროექტები და ადამიანები უპირველეს ყოვლისა! სოფელი—რთული ფენომენი!..



„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ?
რას გვარგუნებ, რა ზნე გჭირსა,
სადაურსა სად წაიყვან
სად აღუფვრი ხოლმე ძირსა“-ო ჯერ კიდევ როდის დაიმწუხრა ჩვენმა დიდმა წინაპარმა.

აქ მარტო მიგრაციის რეციდივი კი არ იყო ნაგულისხმევი—სინანული იკითხებოდა თვით სოფელი—რით იყო, რით სუნთქავდა, რით გაჰქონდა თავი.

სოფელს ძნელბედობა მოსდგამდა მუდამ. უჭირდა, ტკიოდა...

სარჩო-საბადებლის მოპოვება-მოძიება იყო მისი მუდმივი საფიქრალ-საზრუნავი.

ეს ზოგადად...

სოფელი გოგნი. სიმაღლით და სილამაზით გამორჩეული, აქ გულღია, მშრომელი ადამიანები სახლობენ. ეამაყებათ, რომ წმ. გიორგის სახელობის კარუგდებლის სასწაულთმოქმედი სალოცავი მათია, მათ მიწაზეა.

სჯერათ ლამაზი ლეგენდისა, რომ წმინდა გიორგის სხეულის ნაწილი სწორედ აქ არის დამარხული.

პატივს მიაგებენ ამ სიწმინდეს.

ყოველი წლის გიორგობას სრულიად საქართველოს მომლოცველებს მასპინძლობენ აქაურები.

კარუგდებელი მარტო ეკლესია როდია. ეს სახელწოდება იმასაც მიანიშნებს, რომ ამ სოფლის ყოველი მცხოვრების ოდა-სახლის კარიც უგდებელია ანუ ღიაა სტუმრისათვის.

ცხოვრობს სოფელი, ხნავენ, თესავენ, მოჰყავთ სარჩო-საბადებელი. იქნებ თავზე არ გადაუდით, მაგრამ, რასაც ზენაარი სწყალობთ, იმას სჯერდებიან. როგორც გამოუდით, ისე ეზიდებიან წილხვედრ საზიდარს.

რა თქმა უნდა სოფელს აქვს პრობლემებიც, გადაჭრას რომ საჭიროებენ, წვრილმან-მსხვილმანი საკითხებიც აწუხებთ, მაგრამ, სოფელი აბა რისაა? სოფელში რომ ცხოვრობ, ნიშნავს სულ ხელდაკაპიწებული უნდა იყო! ისე კარგ ღვინოს ვერ დააყენებ, არსობის პურს ვერ მოიყვან. გოგნელებს ეს არ ესწავლებათ...

თანადგომა და მუდმივი ჩართულობა ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლებისა განაპირობებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს, ინფრასტრუქტურულ და სოციალური პროექტების განხორციელებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ორი თვეღა დარჩა.

განვლილ პერიოდში რით გამოიჩინეს თავი გოგნელებმა?

რა უნდა გაეკეთებინათ და რა გააკეთეს?

რა დარჩათ გასაკეთებელი?

რით შეუძლიათ იამაყონ?

რა გამოწვევებია სოფლის წინაშე?

ამ საკითხებთან დაკავშირებით სასაუბროდ რამდენჯერმე შევეხმიანეთ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს დავით რობაქიძეს და სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს დავით ისაკაძეს.

სამწუხაროდ, ეს შეხვედრა პანდემიის გამო ვერ შედგა. ხელთა გვაქვს მხოლოდ ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი შეტყობინება, რომელიც ნაწილობრივ, მაგრამ მაინც გვამცნობს და გვაგრძნობინებს სოფლის სუნთქვას, რომელსაც გოგნი ჰქვია, სოფელი რომელიც ზემოდან დაგვცქერის და ხელს გვიწვდის თავისკენ გვიხმობს:

„სოფლის ადმინისტრაციას და სოფლის დეპუტატს გულთან მიაქვთ ხალხის სატკივარი და ცდილობენ მაქსიმალურად დაეხმარონ სოფელს.

გასული წლიდან დღემდე ბევრი რამ შეემატა გოგნს. განხორციელდა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები. გაგრძელდა სოფლის განათების პროგრამა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 10 000 ლარს.

სოფელში მცხოვრებ გოჩა ჭანტურიძეს ხანძრის შედეგად დაეწვა საცხოვრებელი სახლი, მოხდა მისი დაფინანსება 5000 ლარით.

სოციალურად დაუცველ რამინი რობაქიძეს მერიის მხარდაჭერით აუშენდა საცხოვრებელი სახლი, რომლის ღირებულებაც არის 30 000 ლარი.

დასრულდა სოფლის გაზიფიცირება და დასასრულს მიუახლოვდა გამრიცხველიანება, რომელიც სავარაუდოდ 1 თვეში დასრულდება.

სოფლის პროგრამით გაკეთდა ფხალაძეების უბანში სანიაღვრე არხი.

შეძენილია პოლიეთილენის მილები წყალგაყვანილობისათვის, საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის მაგისტრალზე.

ამჟამად სოფლის პროგრამით უნდა დაიწყოს ბეტონის გზის დაგება ხორხის უბანში, რომლის ღირებულებაც შეადგენს 16 000 ლარს.

სულ მალე დაიწყება სოფლის ცენტრიდან ტყიბულის მიმართულებით 4 კმ-იანი გზის მონაკვეთზე ბეტონის დაგება, რომლის ღირებულება შეადგენს 515 000 ლარს.

განვლილ პერიოდში (2020-2021 წ.წ.) სოფლის შეჭირვებულმა მოსახლეობამ მუნიციპალური პროგრამებით მიიღო შემდეგი მოცულობის დახმარება:

მედიკამენტები—1 870 ლარი, სურსათი—4 150 ლარი, სახლდაზიანება—7 100 ლარი, ახალშობილთა დახმარება—1 100 ლარი, ფინანსური —16 700 ლარი, ეპილეფსიით დაავადებულს 300 ლარი, უსინათლოთა 420 ლარი, დიალიზი—2 100 ლარი.“

ვიცით, რომ ეს არასრული ჩამონათვალია. ვიმედოვნებთ ახლო მომავალში ადგილზე ვნახავთ, როგორ ცხოვრობენ გოგნელები. რა უჭირთ და რა ულხინთ. მონათხრობს თვალით ნანახი სჯობს...

ნუგზარ გამყრელიძე

ჩვენი სოფელი...

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

დიდი დავითის სოფელი სახეს იცვლის



სოფელი ღონიერია თუ კაცი გონიერიაო, უთქვამთ ჩვენს ძველებს. ღონიერობის რა მოგახსენოთ, ახალი ცხოვრების შენების კვალობაზე. ათასგვარი პრობლემებით გაჯერებულ დროში, უჭირს სოფელს და ნელ-ნელა იდგამს ფეხს. ცხადია განვითარება-აღორძინება მით მალე მოხდება, რაც უფრო მეტი გონიერი კაცი ეყოლება სოფელს, რიგითი მეურნე იქნება იგი თუ ხელმძღვანელი.

ვფიქრობთ, ზვიად ბაზაძის სახით, რომელიც მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია ზედა სიმონეთში, ნამდვილად უნარიანი, გამოცდილი და მონდომებული ხელმძღვანელი ჰყავს ამ სოფელს. თუ ამას ბატონ გია ქასრაშვილსაც დაუმატებთ, ზედა სიმონეთელთა რჩეულს საკრებულოში (იგი საჯარო სკოლის დირექტორია იმავე სოფელში) ვნახავთ, რომ ბევრგან ვერ დაიკვეხნიან სოფლის ხელმძღვანელთა ასეთი ძლიერი ტანდემით.

ორიოდ კვირის წინ შევეხმიანე ზვიადს, სოფლის ავ-კარგსა და ბოლო წლებში გაკეთებულზე სასაუბროდ. ახლა ისეთ დღეში ვარ სულის მოსათქმელად არ მცალია, სეფარეთში ვიმყოფები წყლის პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც დროს გამოვნახავ დაგიკავშირდებითო. ცოტა კი გამიკვირდა სად სიმონეთი და სად სეფარეთი (ტყიბულის მოსაზღვრე სოფელი) იქ რა უნდა მეთქი, მაგრამ ისეთი მუდარა ჰქონდა გარეული ხმაში, რაღას ჩავეკითხებოდი, რამოდენიმე დღის გასვლის შემდეგ კომუნიკაცია შედგა და...

ზვიად ბაზაძე: ბოლო ოთხ წელიწადში ჩვენს სოფელში საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და საერთოდ, მოსახლეობისათვის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარების მიზნით. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც ორ ეტაპად წარიმართა და ამჟამად დასრულების ფაზაშია. პროექტის დასრულების შემდეგ სიმონეთის 745 კომლი დაკმაყოფილდება სასმელი წყლით და ეს „საუკუნოვანი“ პრობლემა მოგვარებული იქნება. მშენებლებთან ერთად საქმეში ვართ ჩართული ყველა,—მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა მთლიანად, ჩვენი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში გია ქასრაშვილი და ცხადია სოფლის აქტივისტი ადამიანები...

წარმოდგენილი გექნებათ მოლოდინი, როცა მაგისტრალი ექსპლოატაციაში გავა, მოსახლეები ონკანს მოუშვებენ და ოჯახებში ანკარა წყლით გამოწვეული სიხარული დაისადგურებს.

ახლა იმაზე თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა ჩვენთან:

— საექიმო ამბულატორიის კაპიტალური რემონტი (3081 ლარი).

—სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა (13 815 ლარი).

—ზედა სიმონეთის საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა (6 500 ლარი).

—დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმის ღობის შეკეთება (2 500 ლარი).

—ზედა სიმონეთის სასოფლო კლუბში სცენაზე ახალი იატაკის მოწყობა და ეზოს შემოიღობა და მწვანე ნარგავების განთავსება (4 000 ლარი).

—ზედა სიმონეთში მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახსათვის კაპიტალური სახლის მშენებლობა (31 474 ლარი).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

—შემოიღობა სოფელ ზედა სიმონეთში არსებული ოთხივე სასაფლაოს ტერიტორია (20 000 ლარი).

— სოფლის სხვადასხვა უბანში მოეწყო გარე განათების ქსელი (20 000 ლარი).

— გვენეტაძეების უბანში მოსახლეობის ჩართულობითა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მოეწყო ბეტონის საფარიანი გზა (80 მეტრი სიგრძის).

გარდა აღნიშნულისა ყოველწლიურად, სოფლის სხვადასხვა უბანში, ხორციელდება შიდა საუბნო გზების ქვიშა-ღორღით შეკეთება. ასევე სამ ადგილზე მოეწყო ბოგირი და სანიაღვრე არხები.

ამჟამად სოფელ ზედა სიმონეთში მიმდინარეობს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ალია ბარდაველიძის სახელობის სკვერისა და მემორიალის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 144 359 ლარს.

ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესყიდულ იქნა ორი პროექტი სოფელ ზედა სიმონეთში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებსათვის. ეს პროექტებია:

1. ზედა სიმონეთის სოფლის ცენტრიდან აბჟანდაძეების-აბულაძეების უბნამდე მისასვლელი გზის (2,5 კმ) რეაბილიტაცია (არმირებული ბეტონის საფარი, სისქით 16 სმ, სიგანით 4,5 მ).

2. ნავენახევის მღვიმე—ქვედა სიმონეთის სათემოს უბანი—დავით კდლიაშვილის სახლ-მუზეუმი—ძევრის მღვიმეების დამკავშირებელო გზის (6 კმ) რეაბილიტაცია (ა/ბეტონის საფარი, სისქით 10 სმ, სიგანით 5 მ).

იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში, აღნიშნული პროექტები სრულად განხორციელდება, რითაც მოიხსნება სოფელში არსებული პრობლემები საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით.

* * *

დღევანდელ, საერთოდ შეჭირვებულ დროში, ჩვენს სოფელშიც ბევრია ადამაინი, რომელთაც აუცილებელი დახმარება სჭირდება, ცხოვრების სხვადასხვა კუთხით. მადლიერნი ვართ, როგორც ზემდგომი, ისე ადგილობრივი ხელისუფლებისა, რომ გვაძლევენ საშუალებას დადებითად გადაუწყვიტოთ სხვადასხვა სოციალურ-ყოფითი საკითხები. ბოლო 4 წელიწადში, ამ მიზნით, სოფლის 736 მცხოვრებზე გახარჯულია თანხა 157 430 ლარის ოდენობით. მათ

ახალი წყალსადენის სათავე ნაგებობაზე...

შორის: მედიკამენტებზე—6 808 ლარი, სურსათზე—4 190 ლარი, სახლდაზიანებაზე 29 150 ლარი, უსინათლოებზე—2 840 ლარი, ფინანსური—55 300 ლარი, ეპილეფსია—2 850 ლარი, დიალიზი—10 800 ლარი, ახალშობილთა—3 200 ლარი, დიაბეტი-ფენიკეტონურია—6 600 ლარი, თანადაფინანსება—31 690 ლარი, ბინის ქირა—4 000 ლარი.

როგორც ვხედავთ ციფრები სოლიდურია, რაც მომავალაში ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება და საშუალება გვექნება სოციალურად შეჭირვებულებს მეტი დახმარება გაუწიოთ.

ტარიელ ფანჩულიძე, მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ზედა სიმონეთელია. მასაც შევეხმიანეთ:

„როგორც მთლიანად მუნიციპალიტეტში, ისე ზედა სიმონეთშიც, ბოლო წლებში, ბევრი რამ გაკეთდა—გვითხრა მან. მარტო ის რად ღირს, რომ ავტობანიდან მწერლის მუზეუმამდე შესანიშნავი ასფალტის გზით შეუძლია მივიდეს აქაური მცხოვრები თუ ექსკურსანტი. ძევრი-ბარდუბანი-ავტობანის ასევე კეთილმოწყობილი გზით, რომელიც მთელ სიგრძეზე კვეთს სოფელს და არაერთი საუბნო გზის მოხრეშა-მოშანდაკებით, მიმოსვლა ბევრად გაუმჯობესდა. მცხოვრებთა დიდი სურვილია ბედიაურის წყაროდან მუზეუმამდე ასფალტის გზის დაგება, რაც ვიმედოვნებთ აუცილებლად დადებითად გადაწყდება. ჯერჯერობით კი საკმაოდ კარგი ხრეშიანი გზაა, რომლის შეკეთებას და კეთილმოწყობას უშუალოდ ახდენს ჩემი ქვემდებრე სამსახური პერიოდულად.

აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები სასმელი წყლის შემოსაყვანდ...

ზედა სიმონეთში პრობლემური იყო გარემოს დასუფთავება, ნაგვის თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, რაც სადღეისოდ ძირითადში მოგვარებულია.

თუმცა ჯერ კიდევაა სოფელში ცალკეული ადგილები, სადაც დასადგმელია სანაგვე ურნები. გარკვეულ დროში ეს საკითხიც აუცილებლად გადაწყდება“.

ზედა სიმონეთი დიდი მწერლის სახლ-მუზეუმით, ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთგვარი სავიზიტო ბარათია და მასზე ზრუნვა ყველა ჩვენგანის ვალია. ამ მხრივ სოფლად მერის წარმომადგენლის ზვიად ბაზაძის და საკრებულოს დეპუტატის გია ქასრაშვილის აქტივობა ნამდვილად მისაბაძი არის.

ი. ერაძე

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის საფინალო მატჩის ექო

კაი, კაი, გეხუმრე, არ გეწყინოს!

მასე კი არა— ასე...
რა არის აქ გაუგებარი!..

იტალიელებო, სად ხართ, დაგვენახეთ, თქვე კაი ხალხო...

ასე მოუხდება. მეორედ აღარ იზამს...

აი, რა მოსდევს თავების ურა-ურობას, ახლა მსაჯმა უნდა იმტვრიოს თავი—რომელ თავს დაუძროს ყვითელი ბარათი

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში—ევრო 2020 დასრულდა. ამის შესახებ უკვე ვიუწყებოდით ჩვენი გაზეთის წინა ნომერში. მაგრამ... კიდევ დაგვრჩა სათქმელი!

ფეხბურთზე სამასლაათოს რა დალევს!

ფეხბურთი ხომ მაინც სულ სხვაა!..

ამჟამად გთავაზობთ იტალიელთა „მეორედ მოსვლის“ ამსახველ ფოტო-კადრებს, ჩვენი ჟურნალისტის, ნუგზარ გამყრელიძის მოკლე მინაწერებით...

დაკა, ხელი!

ინგლისელთა ამ „ცოცხალ კედელში“ იტალიელმა ბენუჩიმ მაინც მოახერხა „მკვდარი ბურთეის“ გაძვრენა

შენ დაუკა...

მარადიული ქალაქი თავის ლომებს ხვდება!..

მომავალ შეხვედრამდე, უემბლი!..

ახლა იწყება თავდავიწყება...

ბედნიერი იტალიელთა კაპიტანი

ბედნიერი მწვრთნელი რობერტო მანჩინი თასი ჩვენია!

ნუგზარ ჩიკაშუა

ჩვენს საზოგადოებას 81 წლის ასაკში გამოაკლდა ეს გამორჩეული პიროვნება, უნარიანი ხელმძღვანელი, მოღვაწე, ადამიანი, რომელიც მთელი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ეძიებდა, ქმნიდა, ჰპოვებდა.

1940 წლის 4 ოქტომბერს დაიბადა სოფ. ჩხარში, განათლებული მშობლების ოჯახში. ჩხარშივე დაამთავრა საშუალო სკოლა. ხოლო, 1965 წელს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მიიღო ინჟინერ-ტექნოლოგის დიპლომი.

ცხოვრების საწყის ეტაპზე გამოცადა თავი, როგორც რიგითმა მუშამ. შემდეგ განაგებდა სამსახურებს, როგორც უნარიანი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი: რაიკოოპერატივის სავაჭრო სისტემა; ადგილობრივი მრეწველობის ქსელი, შამპანური ღვინისა და სიქთარვის ღვინის ქარხნები...

2003 წელს შპს „გამა-უდის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო.

ნიჭიერება, საქმის ცოდნა, პასუხისმგებლობის გრძნობა იყო მისი, როგორც სამეურნეო ხელმძღვანელის მახასიათებელი ნიშანი, იყო წიგნიერი და ერუდირებული, კომპეტენტური. შეეძლო თამამად ჩართულიყო ნებისმიერი დონის პოლემიკაში და თავისი მოსაზრებები გამოეთქვა. —ეს იქნებოდა პოლიტიკური სპექტრი, ხელოვნება, ლიტერატურა, სპორტი თუ სხვა.

თერჯოლის რაიონის ცხოვრებით ცხოვრობდა მუდამ.

არ უკრთოდა რთულ გამოწვევებს. ჰქონდა საკუთარი პრინციპები და ერთგულებდა მათ, ეს პრინციპები რაიონის ინტერესებით საზრდოობდნენ...

ჭკვიანი მეოჯახე გახლდათ. ბედნიერი იყო. ბედნიერი—ვიდრე შვილები არ დაუობლდნენ...

ძლიერი იყო და უძლებდა... ამიერიდან მისი შვილები ირაკლი და ნინიკო გააგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს.

გვჯერა, ნუგზარ ჩიკაშუას ოჯახში კვლავაც იხარებს სიკეთის ნერგი.

ნათელი ადგეს მის სულს მარადიულ სასუფეველში.

ახლობლები, მეგობრები

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ ძოწენიძე

და სამძმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტოკიო 2020

ოლიმპიადა ერთი წლის დაგვიანებით

ტოკიო-2020—ასე დარჩება ისტორიას ზაფხულის ოცდა-მეთორმეტე ოლიმპიური თამაშები, რომელსაც იაპონიის დედაქალაქი 2021 წელს მასპინძლობს. კორონავირუსის პანდემიის გამო ერთი წლით გადადებული ოლიმპიადა 23 ივლისს გაიხსნა და 8 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება. მასში მონაწილეობას 205 ქვეყნის 11 ათასზე მეტი სპორტსმენი ღებულობს.

საქართველო ტოკიოს ოლიმპიადაზე ოცდათხუთმეტი სპორტსმენით გაემგზავრა სპორტის თერთმეტ სახეობაში. ყველაზე მეტი მონაწილე ძიუდოში გვყავს - მამაკაცთა შორის შვიდივე წონით კატეგორიაში და ქალებში ორ წონაში. თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სულ შვიდი ქართველი სპორტსმენია ოლიმპიურ კონკურენციაში. სწორედ საჭიდაო სახეობებისგან ელიან ქართველი გულშემატკივრები არაერთ მედალს, თუმცა ოქროს მედლის ნომერ პირველ ფავორიტად საქართველოს დელეგაციაში სულ სხვა სპორტსმენი სახელდება - ძალოსანი **ლაშა ტალახაძე,** რომელიც იაპონიაში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ჩავიდა და, გარდა ამისა, ზურგს მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონის ტიტულებიც უმაგრებს.

მართალია, ტოკიო-2020 ჩაშლას გადაურჩა, მაგრამ იმდენი შეზღუდვით ტარდება, შეგვიძლია აქედანვე დავარქვათ ყველაზე წყნარი და მოწყენილი ოლიმპიადა. იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ თვეების წინ აიკრძალა ოლიმპიური თამაშების პერიოდში ქვეყანაში უცხოელი მოქალაქეების შესვლა. სპორტულ ღონისძიებებს მხოლოდ ადგილობრივები უნდა დასწრებოდნენ, ისიც გვარიანად შეზღუდული რაოდენობით. შემდეგ კი რეგულაცია კიდევ უფრო გამკაცრდა და ტრიბუნების კარი იაპონელთათვისაც ჩაიკეტა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრ იოშიჰიდე სუგას განცხადებით, კორონავირუსის გავრცელების რისკის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა შეჯიბრებები მაყურებლის გარეშე გაიმართოს. უჩვეულო სიჩუმის თავიდან ასაცილებლად კი ორგანიზატორები წინა ოლიმპიადების გულშემატკივართა ხმების აუდიოჩანაწერებს გამოიყენებენ ტრიბუნიდან წამოსული ხმაურის ილუზიის შესაქმნელად.

„უკეთ, ვიდრე წინა ოლიმპიურ თამაშებზე“

ეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ტრადიციული დევიზია, რომელიც ამჯერადაც უცვლელი დარჩა. შეგახსენებთ ქართველი სპორტსმენების მონაგარს რიო-2016-ზე - ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო. ამრიგად, მიზნის მისაღწევად, ტოკიოში მინიმუმ ორჯერ უნდა აჟღერდეს საქართველოს ჰიმნი, მედლების რაოდენობა კი შვიდზე მეტი უნდა იყოს.

შვიდზე მეტი მედალი საქართველოს დამოუკიდებელ დელეგაციას არც ერთ ოლიმპიურ თამაშებზე არ მოუპოვებია. ოქროების რაოდენობით კი საუკეთესო 2008 წლის ოლიმპიური თამაშები იყო - პეკინში ქართველი სპორტსმენები სამჯერ ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ჩვენი ოლიმპიური მედლების ისტორია

საქართველოსთვის ოლიმპიური მედლების ისტორია პელხინკში, 1952 წლიდან იწყება, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით თხუთმეტი ქართველი სპორტსმენი ჩაება კონკურენციაში და მათგან ცხრამ მედალი მოიპოვა. პირველი ჩემპიონები იყვნენ მოჭიდავე **დავით ციმაკურიძე,** ძალოსანი **რაფაელ ჩიმიშკიანი** და ტანმოვარჯიშე **მზია ჯუღელი.**

ორმოცი წლის განმავლობაში, ქართველები საბჭოთა კავშირის ნაკრების რიგებში იბრძოდნენ ოლიმპიური მედლებისთვის. 1992 წელს, ბარსელონაში გამართულ ოლიმპიადაზე კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებული გუნდი ჩავიდა. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად აღიმართა საქართველოს დროშა და აჟღერდა ჰიმნი. ბარსელონაში სულ თორმეტი ქართველი სპორტსმენი ჩავიდა და მათგან რვამ მედალი მოიპოვა (სამმა ოქრო, ხუთმა - ბრინჯაო). ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ძიუდოისტი **დავით ხახალეიშვილი,** ძალოსანი **კახი კახიაშვილი** და მოჭიდავე **ლერი ხაბელოვი.**

1996 წლიდან, საქართველო ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით მონაწილეობს. პირველი დამოუკიდებელი ქართული ოქროს ისტორია კი 2004 წლიდან იწყება, ძიუდოისტ **ზურაბ ზვიადაურის** ტრიუმფით. ყველაზე დასამახსოვრებელ გამარჯვებებს შორისაც, ერთ-ერთი გამორჩეული სწორედ ზვიადაურის ათენური ჭიდაობაა. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო, იმავე ოლიმპიურ თამაშებზე ძალოსან **გიორგი ასანიძის** გამარჯვება და 2008 წელს, რუსეთ საქართველოს ომის პარალელურად მიმდინარე პეკინის ოლიმპიადაზე, მოჭიდავეების **მანუჩარ კვირკველიასა** და **რევაზ მინდორაშვილის** და ძიუდოისტ **ირაკლი ცირეკიძის** მიერ მოპოვებული ოქროები.

რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიადაზე, ძალოსანთა მძიმე წონით კატეგორიაში **ლაშა ტალახაძე** ჩემპიონი გახდა, **ირაკლი თურმანიძე** კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ეს იყო პირველი შემთხვევა ოლიმპიადების ისტორიაში, როდესაც კვარცხლბეკზე ერთდროულად ავიდა საქართველოს ნაკრების ორი წევრი.

დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური ისტორიის შავ ლაქად კი რჩება ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადა, როდესაც, ძიუდოში მძიმე წონის უმთავრესმა ფავორიტმა **დავით ხახალეიშვილმა** არათუ ოქროს მედალი ვერ მოიპოვა, საერთოდ საპრიზო სამეულს მიღმა დარჩა. ოღონდ ამ წარუმატებლობის მიზეზი წაგება არ ყოფილა. ლეგენდარული ძიუდოისტი ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა წინასაშეჯიბრო აწონვაზე არგამოცხადების გამო ამოიღეს სატურნირო ბადიდან. მიზეზი—ქართული დელეგაციის წევრებმა ძიუდოს ასაწონ დარბაზს ვერ მიაგნეს!

მილიონი ჩემპიონს

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლის მოპოვების შემთხვევაში, საქართველოს დელეგაციაში შემავალი სპორტსმენი, სახელმწიფოსგან სოლიდურ ჯილდოს - მილიონ ლარს მიიღებს. ამის შესახებ, ქართველ ოლიმპიელებს ქვეყნის პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აცნობა, თამაშებზე გაცილების საზეიმო ცერემონიალზე.

ქართველები ტოკიოში

ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
ვაჟა მარგველაშვილი (ძიუდო. 66 კგ)
ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო. 73 კგ)
ტატო გრიგალაშვილი (ძიუდო. 81 კგ)
ლაშა ბექაური (ძიუდო. 90 კგ)
ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო. 100კგ)
გურამ თუშიშვილი (ძიუდო. +100 კგ)
ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (ძიუდო. 52 კგ)
ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო. 57 კგ)
შოთა მიშველიძე (ძალოსნობა. 61 კგ)
გოგა ჩხეიძე (ძალოსნობა. 67 კგ)
ანტონ პლესნოი (ძალოსნობა. 96 კგ)
ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა. +109 კგ)
ავთანდილ კენჭაძე (თავისუფალი ჭიდაობა. 74 კგ)
ელიზბარ ოდიკაძე (თავისუფალი ჭიდაობა. 97 კგ)
გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა. 125 კგ)
რამაზ ზოიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 67 კგ)
ლაშა გობაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 87 კგ)
გიორგი მელია (ბერძნულრომაული ჭიდაობა. 97 კგ)
იაკობ ქაჯაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 130 კგ)
სახილ ალახვერდოვი (კრივი. 52 კგ)
ესკერხან მადიევი (კრივი. 69 კგ)
გიორგი ხარაბაძე (კრივი. 75 კგ)
ნიკოლოზ ბასილაშვილი (ჩოგბურთი)
სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა. ხმალი)
მარიამ იმნაძე (ცურვა. 100 მეტრი. თავისუფალი სტილი)
ირაკლი რევიშვილი (ცურვა. 400 მეტრი. თავისუფალი სტილი)
სალომე ფაჟავა (მხატვრული ტანვარჯიში)
გიორგი მუჯარიძე (მძლეოსნობა. ბირთვის კვრა)
ბენიკ აბრამიანი (მძლეოსნობა. ბირთვის კვრა)
სოფიკო შათირიშვილი (მძლეოსნობა. ბირთვის კვრა)
ლაშა ღულელაური (მძლეოსნობა. სამხტომი)
ბაჩანა ხორავა (მძლეოსნობა. სიგრძეზე ხტომა)
გოგიტა არქანია (კარატე, კუმიტე. +75 კგ)
ლუხუმ ჩხვიმიანი (ძიუდო, 60 კგ)

ქართველების მონაგარი ტოკიოში

„თერჯოლის“ ეს ნომერი პარასკევს, 30 ივლისს ჩაეშვა ბეჭდვაში. ამ დროისათვის ჩვენი ქვეყნის დელეგაციის აქტივში უკვე იყო 1 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი. ისინი ძიუდოისტებმა მოიპოვეს. ვულოცავთ!

ლაშა ბექაური (ოქრო)

ლაშა მარგველაშვილი (ვერცხლი)



ვაჟა მარგველაშვილი (ვერცხლი)

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872